პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 იანვარი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 14 (9675) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დღეს თბილისის სპორტის სასახლეში იწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში**

## „კლასიკოსები“ და სხვები...

**პლანეტის საუკეთესო მოჭიდავეებისთვის ყოველი ახალი სეზონი ტრადიციისამებრ თბილისში იწყება. გამონაკლისი არც ეს წელი იქნება, მაგრამ გასული წლებისგან განსხვავებით იგი (როგორც უკვე გაცნობეთ) გაიხსნება არა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირით, არამედ „კლასიკოსების“ 57-ე საკავშირო ჩემპიონატით, რომელიც დღეს, 10 საათზე იწყება.**

საკავშირო ჩემპიონატი მნიშვნელოვანი მოვლენა გახდება ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებაში, — თქვა საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის სამმართველოს უფროსმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ომზარ შოშიტაშვილმა. — უკანასკნელად ხომ კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ასეთი რანგის ასპარეზობა ჩვენთან 1961 წელს მოეწყო. ამ თვის ბოლოს კი სპორტის სასახლე დაეთმობა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა თბილისის 27-ე საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს. აქ გამოვლენ ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, კანადის, ბულგარეთის, პო-

იხ. მე-2 გვ.

**ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილენი**

## ნანა იოსელიანი



**ნანა იოსელიანი** (დაიბადა 1962 წლის 12 თებერვალს) თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დიდოსტატია. იგი უკვე კარგა ხანია შედის მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატთა რიცხვში.

მეტად ნიჭიერმა გოგონამ უკვე 14 წლისამ მიიქცია ყურადღება, როდესაც პირველად ითამაშა საკავშირო ჩემპიონატში. ამ ასაკში, ცხადია, მისთვის უფრო უპრიანი იყო მოსწავლეთა შეჯიბრებაში თამაში, მაგრამ თითქოს აქ არაფერიო, იოსელიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონთან ნონა გაფრინდაშვილთან, დაამარცხა ნანა ალექსანდრია და ირინა ლევიტინა! ერთი სიტყვით, ნანას „მატჩი“ იმდროინდელი ქალთა ჭადრაკის პირველ სამეულთან ასეთი საარაკო შედეგით დასრულდა. მომდევნო წელს იოსელიანმა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში უკვე II-III ადგილები გაინაწილა ნანა ალექსანდრიასთან ერთად. I ადგილი მაია ჩიბურდანიძეს დარჩა. ცხადი გახდა, რომ დაწინაურდა კიდევ ერთი პირველხარისხოვანი მოჭადრაკე, რომელსაც დღეს თუ ხვალ უმაღლესი წარმატებები პრეტენზია უნდა ჰქონოდა.

ერთხანს ნანას მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი ამეცადინებდა. იგი გოგონას ყოველმხრივ ამხნევებდა და მიუთითებდა მის არსებით ნაკლზეც: ნანა ბევრს ფიქრობდა, თითქმის ყველა პარტიაში სასტიკ ცაიტნოტში იმყოფებოდა. იოსელიანმა მრავალნაცადი დიდოსტატის რჩევები კარგად გაითვალისწინა და ის, რაც ზოგიერთისთვის საერთოდ გადაუჭრელი პრობლემაა, საკმაოდ იოლად დაძლია: იგი უკვე „ეტეოდა“ დროში, უფრო მეტიც, პარტიის დამთავრების შემდეგ გარკვეული მარაგიც რჩებოდა.

1979 წელს ნანა იოსელიანმა საჭადრაკო სამყარო მართლაც განაცვიფრა ბრაზილიის საზონათშორი-

იხ. მე-4 გვ.



„გამოვცოცხლდეთ“! გუშინ ამ სათაურით „ლელომ“ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, რომელშიაც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ დასვენების დღეებში თბილისში არ ტარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. გაზეთის გამოსვლას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა თბილისის სპორტკომიტეტი და კომკავშირის საქალაქო კომიტეტი. ვთხოვთ ყველას, ვინც დასვენების დღეებში მასობრივ ფიზკულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს გეგმავს, ყოველ ოთხშაბათს, 10-დან 12 საათამდე, დაგვირეკეთ რედაქციაში, რათა ხუთშაბათობით წინასწარ ვაცნობოთ მოსახლეობას ამ ღონისძიებების ჩატარების დრო და ადგილი.

ჩვენი ტელეფონები: 93-97-55, 99-56-14.

## აფხაზეთის 5 საუკეთესო

**უკანასკნელ** წლებში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, აფხაზეთის სპორტსახკომმა, გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია“ რედაქციამ და ჟურნალისტთა სექციამ, რომლებიც სპორტულ და ტურისტულ თემას აშუქებენ, ჩაატარეს გამოკითხვა აფხაზეთის 5 საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. საუკეთესოთა სიას სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საკავშირო თასის მფლობელი ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში ხარლამ სიმონია (პროფკავშირები, გუდაუთა). მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ს. არუთინიანმა და ი. გელენავამ (ორივე — სოხუმი), რომლებიც საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. მეოთხე ადგილზეა ნორჩი დინამოელი, მოცურავე ტ. გუგუბერიძე, სოხუმელმა ჭაბუკმა თავისი სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობაზე პირველი ადგილები დაიკავა 100 და 200 მეტრზე ზურგზე და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მანვე გაიმარჯვა საერთაშორისო შეჯიბრება „დრუჟბა-87“-ის პროგრამით გამართულ მოცურავეთა ტურნირში. მეხუთე ადგილზე დაასახელეს სოხუმელი მძლეოსანი ლ. ფიტოზოვი, სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების გამარჯვებული.

საუკეთესოთა შორის დაასახელეს აგრეთვე სოხუმელები დ. აკოფიანი (სამბო), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ე. მუხოიანი (თავისუფალი ჭიდაობა) და მძლეოსანი ტ. ბიწაძე.

**ზ. ბოლოხიანი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

## იქნებ „იბერია“ ვუწოდოთ?

**ყურადღებით** ვეცნობი „ლელოში“ გამოქვეყნებულ წინადადებებს იმის თაობაზე თუ რა სახელი შევურჩიოთ საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოებას.

ჩემი აზრით ეს სახელი უნდა იყოს ეროვნული, შთამბეჭდავი, ტევადი. ასეთად პირადად მე მიმაჩნია „იბერია“. გთხოვთ ჩემი წინადადებაც გაითვალისწინოთ.

**გივი რამიშვილი,**
**სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**„ლელოს“ 1987 წლის 26 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „კონფერენცია ჩაიშალა“ სამართლიანად იყო გაკრიტიკებული თელავის რაიონი იმის გამო, რომ 1987 წლის 11 დეკემბერს დანიშნული პროფკავშირულ ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული კონფერენცია ჩაიშალა.**

**კონფერენციის ჩაშლა განაპირობა იმან, რომ ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა და ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაისაბჭოს ხელმძღვანელობამ ვერ ჩაატარეს სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები.**

**ეს ფაქტი 1987 წლის 29 დეკემბერს თავის სხდომაზე სპეციალურად განიხილა სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა. კონფერენციის მომზადების საქმეში უპასუხისმგებლობის გამოჩენისათვის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს გ. მაისურაძეს და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს თ. წითელაურს გამოეცხადათ საყვედური. ისინი გააფრთხილეს, რომ შემდგომში საქმისადმი რაიმე უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენის შემთხვევაში დაისჯებიან უფრო მკაცრად.**

**ამასთან გაცნობებთ, რომ კონფერენცია მოგვიანებით, 1987 წლის 25 დეკემბერს, გაიმართა და იგი ჩატარდა მაღალ დონეზე.**

**შ. ნაცვლიშვილი,**
**თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.**

## ისევე, როგორც შარშან

**გლდანის** რესპუბლიკური სპორტული სკოლა-ინტერნატის რვა თავისუფალი სტილის მოჭიდავე გახდა საკავშირო პირველობის პრიზიორი, რომელშიც ჩვენი წარგზავნილების გარდა 17 მონათესავე სასწავლებლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. თავიანთ წონებში გაიმარჯვეს ზაზა ზოზიროვმა (54 კგ), კახა ლევიძემ (57) და კახა ჯაბიძემ (81); მეორე ადგილი დაიკავეს ნუგზარ მანჯგალაძემ (74) და გია პატაშურმა (81), მესამე— ავთანდილ შენგელიამ (88), როინ კუპატაძემ (97) და ზაზა სიმონიამ (115).

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, საქართველოს ნორჩმა მოჭიდავეებმა შარშანდელი წარმატება გაიმეორეს და კვლავ პირველი ადგილი დაიკავეს.

**გოჩა ბუღაძე.**

ხარვეზები — საჯაროდ!

# სადა ხართ, ექიმებო?

ექიმი... ექიმი... რა გახდა ბოლოს და ბოლოს. როდემდე, როდის დაადგება საშველი?!

დაიწყებენ ჩვენი ნიჩბოსნები რომელიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის მზადებას და ათას საფიქრალ-საზრუნავს ეს ერთიც მიემატება. ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ? ნიჩბოსნებს არც ისე დიდი ხანია ვიცნობ, მაგრამ ამ საქმის ასავალ-დასავალი კარგად ვიცი: მოეწყობა ერთი შეკრება, მეორე, მესამე... კარს მოგვადგება ესა თუ ის პრესტიჟული ასპარეზობა, რომელზეც ჩვენმა სპორტსმენებმა რესპუბლიკის ღირსება უნდა დაიცვან, ეს თავსატეხი კი ჩოხის კალთაზე ჩამოკიდებული ეშმაკივით კვლავ წინ დაგვისკუპდება. გვიკვირს, ვშფოთავთ, გამოსავალს ვეძებთ, მაგრამ ვერაფერი მოგვიხერხებია, ვერც „დავემალეთ", ვერც „დავაფრთხეთ". სადაც წავალთ, იქ გაჩნდება — სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე, რესპუბლიკის სპორტსახკომის ნიჩბოსნობის განყოფილებაში თუ საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკურ დისპანსერში — შემოჯდება მაგიდაზე და დამცინავად გვიყურებს, ვნახოთ ერთი, რას მოითათბირებთ, როდემდე იწრიალებთო.

ახლაც ვწრიალებთ. ჩვენმა ნიჩბოსნებმა ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებისთვის მზადება შარშან, ოქტომბერში დაიწყეს და უკვე ოთხჯერ შეიკრიბნენ, სამედიცინო მომსახურებას კი მხოლოდ ერთხელ ეღირსნენ — მაშინ, როცა დეკემბერში ბაკურიანში გაემგზავრნენ საერთო-ფიზიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სხვათა შორის, თუ შეჯიბრების დაწყებამდე არაფერი შეიცვალა, თუ ისევ ძველი სპექტაკლი გათამაშდა, პირობას გაძლევთ, ჰიპოკრატესთან „ფიცვერცხლნაჭამ" თეთრხალათიან პერსონაჟს ერთხელ კიდევ შევხვდებით. ეს მოხდება ბოლო მოქმედებაში, ბოლო შეკრაბაზე, რომელიც, ტრადიციულად, ზაფხულში ეწყობა სიონის წყალსაცავზე. მოგეხსენებათ, ამ დროს ქალაქში ძალიან ცხელა, ისე, რომ თბილ ადგილს ნამდვილად გრილი სჯობს, ჰოდა... ერთი სიტყვით, ზამთარში — ბაკურიანი, ზაფხულში — სიონი. აი, ჩვენი ნიჩბოსნებისა და ექიმების სიამტკბილობის დრო და ადგილი. თუმცა, ნიჩბოსნებს ყოველთვის როდი სწყალობთ ბედი — ფოთისა არ იყოს, იმ ქალაქისა, სადაც ჩვენი ნიჩბოსნობა „ჩაეწერა", სადაც ამ სახეობის წარმომადგენლები ყველაზე ხშირად იკრიბებიან, მათთან ჩასული ექიმი კი ჯერ არავის უნახავს, ზოგჯერ ბაკურიანსა და სიონშიც ტყუილად გასცქერიან გზას სპორტსმენები — „ჰირვეული მეგობარი" პაემანზე არ ცხადდება. ნუ აჩქარდებით და იტყვით, ეს ყველაფერი ქილიკსა ჰგავსო. ნეტა ასე იყოს. ხშირად მიხდება ნიჩბოსნებთან შეკრებაზე ყოფნა და რაც მინახავს (საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადისა თუ სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის მზადების პერიოდს ვგულისხმობ) და რასაც ახლა, ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებისათვის მზადებისას ვუყურებ, იმას მოგახსენებთ, არც ვამატებ, არც ვაკლებ.

მაინც რა ქრისტეს პერანგი გაგვიხდა საბაიდარო და აკადემიურ ნიჩბოსანთა გუნდებისათვის ექიმების პოვნა, აკი, მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე გაანგარიშებით, ჩვენდენი ექიმი არავის ჰყავსო? — იკითხავთ თქვენ და ორიგზის მართალი იქნებით. ექიმი მართლაც ბევრი გვყავს. მარტო თბილისში, ქალაქის ჯანდაცვის სამმართველოში იმდენი დაუსაქმებელი ექიმია თურმე აღრიცხვაზე აყვანილი, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციებს (დელეგაცია, მოგეხსენებათ, გუნდების კრებულია) გასწვდება. ასეც რომ არ იყოს, სხვებზე მეტი ექიმი რომ არც გვყავდეს, მოზარდი სპორტსმენები საექიმო კონტროლის გარეშე რატომ უნდა გვრჩებოდნენ?

— ექიმი მართლაც იმდენი გვყავს, რომ, წესით, ნაკრები გუნდების მომსახურება არ უნდა გვიჭირდეს, მაგრამ თავად განსაჯეთ: საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერის ნაკრები გუნდების განყოფილების ოცდაათი საშტატო ერთეულიდან ცამეტი დღემდე ვაკანტურია, — გვითხრა ამ დისპანსერის მთავარმა ექიმმა კარლო არობელიძემ — საერთოდ, ჩვენი სამკურნალო დაწესებულება, როგორც ეს მისი სახელწოდებიდან ჩანს, ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა დისპანსერული, ხაზს ვუსვამ, დისპანსერული სამედიცინო კონტროლისთვის შეიქმნა. მერე დრომ მოიტანა და რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით დაგვევალა მასობრივთან ერთად დიდ სპორტსაც მოვემსახუროთ. ყველანაირად ვეცადეთ, მაგრამ მიზანს, ნაკრები გუნდების განყოფილების დაკომპლექტებას, ვერ მივაღწიეთ. რა არ ვიღონეთ, ვის არ მივმართეთ, მაგრამ უშედეგოდ. როცა, მაგალითად, ქალაქის ჯანდაცვის სამმართველოს ვთხოვეთ, დაგვეხმარებოდა ვაკანტური ადგილების შევსებაში, ასეთი პასუხი მივიღეთ: ეს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კომპეტენციააო. არადა, რომ იცოდეთ, რამდენი თბილისელი ექიმი ელის თავის რიგს...

**⊙ დღეისათვის რამდენ გუნდს არა ჰყავს ექიმი?**

— ოთხს. ორივე სახეობის ნიჩბოსნებს, ფრენბურთელ და ხელბურთელ ვაჟებს. დანარჩენ ოცდათხუთმეტ გუნდთან მუშაობენ საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკური და ამავე პროფილის № 1 საქალაქო დისპანსერის ექიმები.

**⊙ ფრენბურთელებისა და ხელბურთელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი ვიცი, ნიჩბოსნებისთვის ექიმი მუდამ სანთლით საძებნელია.**

— დიახ, სამწუხაროდ, ასეა. ნიჩბოსნები სხვებზე მეტად დაიჩაგრნენ.

**⊙ მიზეზი?**

— როცა ჩვენს ექიმებს, რომელთა უმრავლესობა ქალია, ნიჩბოსნებთან თანამშრომლობას შევთავაზებთ, აი, რას გვეუბნებიან: ეგენი ხშირად მიემგზავრებიან ხანგრძლივ შეკრებებზე, ამდენი ხნით ოჯახს ვერ მივატოვებთ, თანაც მაგათ საწვრთნელ-საყოფაცხოვრებო პირობები არ უვარგათო. ხან დავუყვავებთ, ხან გავუჯავრდებით, მაგრამ ეს საქმეს არ შველის — შედეგს მხოლოდ ეპიზოდურად ვაღწევთ.

**⊙ სპორტში მომუშავე მედიცინის მუშაკის, ამ შემთხვევაში გუნდის ექიმის სამსახური სპეციფიკური საქმეა. გუნდის ექიმი მწვრთნელის უპირველესი თანაშემწე უნდა იყოს, შედეგების გაუმჯობესებაში ეხმარებოდეს სპორტსმენებს, მზადების მთელი ციკლის მანძილზე აკვირდებოდეს და სწავლობდეს თითოეული მათგანის მდგომარეობას, აკონტროლებდეს მათი წვრთნისა და დასვენების პირობებს. თუ ასეთ მუშაობას ეპიზოდური ხასიათი ექნება, მართლაც არაფერი გამოვა. არადა, გამოსავალი უნდა მოიძებნოს.**



— სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურებაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად პირველი ნაბიჯები თოთხმეტი წლის წინათ გადაიდგა. 1974 წლიდან რესპუბლიკის სპორტსახკომის ლიმიტით ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც სპორტულ ექიმებსაც ამზადებს, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც იგზავნებიან. ისინი ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულთაგან შეირჩევიან. თავდაპირველად ჩანაფიქრი ასეთი იყო: უნდა ჩამოყალიბებულიყო სპორტული მედიცინის მუშაკთა ბირთვი, რომელიც მხარში ამოუდგებოდა ჩვენ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს, სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა და აი, რატომ: ტარტუს უნივერსიტეტის თვრამეტი კურსდამთავრებულიდან დღეს მხოლოდ სამი მუშაობს სპორტში, ისიც არა ნაკრებ გუნდებთან, დანარჩენებში კი შემოგვეცალნენ, მედიცინის სხვა დარგებს მიაშურეს. აი, სწორედ ამ პროცესს უნდა გაეწიოს უმკაცრესი კონტროლი, ეს მიმაჩნია უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად. სხვანაირად სპორტულ ექიმთა დეფიციტს ვერაფრით ვუწამლებთ. ხომ ხედავთ, რა ხდება? სპორტის მეშვეობით ამ ახალგაზრდებმა ექიმის დიპლომი ჩაიგდეს ხელთ და...

ღალატის გარდა სხვას ვერაფერს ვუწოდებთ ამნაირ საქციელს. რესპუბლიკის სპორტსახკომმა ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ მაღალკვალიფიციური სპორტული მედიცინის მუშაკები გვყოლოდა და წლობით გადაუჭრელი პრობლემა თანდათან მოგვარებულიყო. ტარტუში სასწავლებლად გაგზავნილმა ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებმა კი (თავად ყოფილმა სპორტსმენებმა, რომლებმაც სხვებზე კარგად იცოდნენ, რა სარგებლობის მოტანა შეეძლოთ ჩვენი სპორტისთვის) საერთო სატკივარს ზურგი აქციეს.

აი, ამიტომაც იქცა ჩვენი ნიჩბოსნების მწვრთნელთა სამაგიდო წიგნად „უბნის ექიმის სახელმძღვანელო". ამ წიგნს ისინი ბეჯითი აბიტურიენტებივით ჩაჰკირკიტებენ და შურის თვალით უყურებენ თავიანთ კოლეგებს, რომლებსაც „საკუთარი" ექიმები ასეთ „წვრილმანზეც" კი ეთათბირებიან, ხვალ როგორი მენიუ შევურჩიოთ ჩვენ სპორტსმენებსო.

ექიმი... ექიმი... რა რა გახდა ბოლოს და ბოლოს, როდემდე, როდის დაადგება საშველი?!

**თამაზ მიგრიაული.**

# „კლასიკოსები" და სხვები...

**დასასრული**

ლონეთის, რუმინეთის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, თურქეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს სამხრეთკორეელმა მოჭიდავეებმაც.

რაც შეეხება საკავშირო ჩემპიონატს, საორგანიზაციო კომიტეტმა სსრ კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ომარ ვარძელაშვილის მეთაურობით დიდი სამუშაო შეასრულა. ჩემპიონატის მონაწილეთათვის შეიქმნა ასპარეზობისა და დასვენების ყველა პირობა. ტურნირის დასკვნით დღეს დიდი სპორტიდან გააცილებენ ჩვენს შესანიშნავ ათლეტებს, მსოფლიო ჩემპიონებს მიხეილ სალაძეს, თემურ ყაზარაშვილსა და თეიმურაზ აფხაზავას. მაგრამ ისინი საბოლოოდ არ ტოვებენ სპორტს. სალაძე სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს, დანარჩენები კი ეხმარებიან მას ამ პასუხსაგებ საქმეში.

ასპარეზობის წინაოლიმპიური ციკლი ასე გაგრძელდება: უკვე აპრილში ინგლისში გაიმართება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი, ხოლო მაისში, კრასნოიარსკში — სსრ კავშირის ჩემპიონატი. ძიუდოისტები თებერვლის დამლევს ალმა-ათაში გაითამაშებენ ქვეყნის ჩემპიონატის ჯილდოებს. საუკეთესო სპორტსმენები შემდეგ გამოვლენ კონტინენტის პირველობებზე, აქვე მინდა გითხრათ, რომ ძიუდოისტთა თბილისის მე-19 ტრადიციული ტურნირი გაიმართება 22-26 ივნისს. ქართველი სპორტის მოყვარულებს წლის დამლევსაც საინტერესო შეჯიბრებები ელით. 17-21 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლე უმასპინძლებს სტუდენტთა შორის ვაჟ და ქალ ძიუდოისტების მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს.

**შალვა შალოლაშვილი.**

**გუშინ საღამოს საქართველოს სპორტსახკომისა და კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის ხელმძღვანელობა შეხვდა საქართველოს „კლასიკოსთა" ნაკრებ გუნდს. ნაკრების მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა აღნიშნეს, რომ მთელ ენერგიას და შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოიყენებენ, რათა წარმატებით იასპარეზონ თავიანთი გულშემატკივრების წინაშე, განამტკიცონ სპორტის ამ სახეობაში ქართველ ფალავანთა ტრადიციები.**

# მეორედ რუსთავში

## მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

**კომკავშირის** რუსთავის საქალაქო კომიტეტის, სპორტკომიტეტისა და ბავშვთა სპორტსკოლის ინიციატივით საწარმოო გაერთიანება „აზოტის" სპორტულ კომპლექსში სასკოლო არდადეგების დღეებში ჩატარდა მეორე საკავშირო ტურნირი კალათბურთელთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფრუნზეს, ხარკოვის, ბაქოს, სევასტოპოლის, ქერჩის, ჟდანოვის, ხიმკის (მოსკოვის ოლქი), თბილისის I და II („მართვე") და რუსთავის I და II გუნდები.

ქვეჯგუფებში ყველა შეხვედრა მოიგეს თბილისისა და რუსთავის პირველმა გუნდებმა, ფინალურ შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა 89:68 და პირველი ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილისათვის ფრუნზელებმა სძლიეს ხარკოველებს (53:43).

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მოთამაშეები კი სპეციალური მედლებით.

კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტისა და რუსთავის საბინაო მეურნეობის ტრესტის მიერ დაწესებული სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე სერგეი სასოვი (ხარკოვი), ყველაზე პერსპექტიული მოთამაშე იაროსლავ სტრელკინი (ფრუნზე), საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი დავით მახარაძე (თბილისი I), საუკეთესო მცველი რამაზ გოგობერიშვილი (რუსთავი I), ყველაზე შედეგიანი მოთამაშე კონსტანტინე კუზმინი (ბაქო) და ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე ილია კოჭლამაზაშვილი (რუსთავი II).

**რაჟდენ გაბრიჩიძე**





**სურათებზე:** ტურნირში გამარჯვებული თბილისის გუნდი; შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტოები.

# მოკლედ

**ზესტაფონი.** ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დარბაზში ამ დღეებში კარგად ორგანიზებული სპორტული ღონისიება — სამატჩო შეხვედრა ჩატარდა კლასიკურ ჭიდაობაში (1973-1974 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის).

მაყურებელმა ხალიჩაზე იხილეს ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ხაშურის, თერჯოლის რაიონების და ჭიათურის მოჭიდავეები. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ხაშურელებმა კობა კიკნაძემ (29 კგ), შმაგი ნოზაძემ (32 კგ), ლაშა გაგნიძემ (50 კგ), ჭიათურელებმა შოთა ტეფნაძემ (35 კგ), გულმათ ჩუბინიძემ (41 კგ), კობა ტაბატაძემ (44 კგ), ზესტაფონელებმა მამუკა ფერაძემ (41 კგ), გოჩა გურგენიძემ (54 კგ), თორნიკე კვინიკაძემ (70 კგ), პაატა მახათაძემ (62 კგ), ზაზა ლილუაშვილმა (მძიმე წონა), ფრიდონ ხუსკივაძემ (47 კგ), ივანე გრძელიშვილმა (58 კგ) კახა წაქაძემ (87 კგ).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ზესტაფონის რაიონის მოჭიდავეთა გუნდმა, მეორე — ხაშურის, ხოლო მესამე — ქ. ჭიათურის ზონის გუნდმა.

**პეტრე ნებიერიძე.**

**თერჯოლა.** ბავშვთა სპორტსკოლაში ჩამოყალიბდა ნორჩ ფალავანთა ჯგუფი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც ჩაირიცხნენ პერსპექტიული ბავშვები: გივი, ხვიჩა და ნიკოლოზ გაბუხაძეები, სპარტაკ კუტივაძე, კოტე ზარნაძე და სხვები. მათ წვრთნის სპორტის ოსტატი ვიტალი გაბიანი. ჯგუფის წევრები ინტენსიურად ემზადებიან გაზეთ „ნორჩი ლენინელის" პრიზის გათამაშებაში და მოსწავლეთა სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

**ვანო კუტალაძე,**
**„ლელოს" კორესპონდენტი.**

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ყველა ადგილი სატურნირო ცხრილში



**დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი. სპეციალისტების თავდაპირველი ვარაუდით რვა ფინალისტთა შორის მოსახვედრად სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო 9-10 გამარჯვება, მაგრამ ბოლო ორ ტურში მდგომარეობა ისე დაიხლართა, რომ 10 ქულაც საამისოდ არ აღმოჩნდა საკმარისი.**

55-ე ჩემპიონატის საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას გააგრძელებენ შემდეგი კოლექტივები: ცსკა, „ჟალგირისი" (კაუნასი), „სტროიტელი" (კიევი), „შახტიორი" (დონეცკი), რტი (მინსკი), „დინამო" (თბილისი), „დინამო (მოსკოვი) და ვეფ (რიგა).

ახლა კი იმის შესახებ თუ რა მოხდა ტურის ბოლო დღეს.

**მოსკოვი.** საბჭოთა კალათბურთის აღიარებული ლიდერების — ცსკა-სა და „ჟალგირისის" შეხვედრა 35-ე წუთამდე მძაფრი და თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. მაგრამ ბოლო ხუთ წუთში არმიელებმა 12 ქულა აიღეს, კაუნასელებმა კი მხოლოდ 2. შეხვედრის ბედიც სწორედ ამ შეფარდებამ გადაწყვიტა. ცსკა-მ გაიმარჯვა — 86:76 (41:39).

არმიელთა შორის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: ტარაკანოვი (22), ენდენი და ვოლკოვი (13-13), „ჟალგირისში" — კურტინაიტისი (22) და ხომიჩუსი (17).

კიდევ უფრო მძაფრი იყო ბრძოლა მოსკოვის „დინამოსა" და ვილნიუსის „სტატიბას" მატჩში. პირველი ტაიმი დინამოელებმა 5 ქულით მოიგეს (51:46). მეორე ტაიმში ოდნავ უფრო აქტიური ვილნიუსელები იყვნენ და ძირითადი დრო ფრედ — 90:90 დამთავრდა. დაინიშნა დამატებითი ხუთი წუთი, რომელმაც გამარჯვება „დინამოს" მოუტანა — 100:97.

**ტალინი.** 11 გამარჯვება, როგორც ავღნიშნეთ, ამ ჩემპიონატში გასასვლელ ბალს იძლეოდა, ამიტომაც თბილისის დინამოელებს ლენინგრადის „სპარტაკთან" შეხვედრაში თავი მაინც და მაინც არ მოუკლავთ. გამარჯვებას არც „სპარტაკისთვის" ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, ამიტომაც ამ მატჩში მან მხოლოდ პრესტიჟული წარმატება მოიპოვა — 99: 58 (49:34).

ასევე განწირული იყო ტალინის „კალევი", აი „შახტიორს" კი ხელს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა და მან მიაღწია კიდეც საწადელს. დონეცკელებმა ეს შეხვედრა მოიგეს — 80:71, თუმცა პირველ ტაიმში უპირატესობა ესტონელთა მხარეს იყო — 44:36.

**მინსკი.** ტურის ბოლო მატჩამდე ადგილობრივ რტი-ს აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ჰქონდა — სამი შეხვედრა, სამი გამარჯვება, მაგრამ მეოთხე შეხვედრისთვის მას, უბრალოდ, ძალა არ ეყო. ამჯერად „სტროიტელმა" უკეთ ითამაშა და გაიმარჯვა — 76:72 (47:38). ამავე დღეს რიგის ვეფ-მა კიევის არმიელებს აჯობა — 95:89 (50:40).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 21 | 1 | 2057-1676 | 43 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 22 | 17 | 5 | 2016-1801 | 39 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 22 | 12 | 10 | 1803-1825 | 34 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 22 | 11 | 11 | 1738-1802 | 33 |
| რტი (მინსკი) | 22 | 11 | 11 | 1751-1734 | 33 |
| „დინამო" (თბილისი) | 22 | 11 | 11 | 1894-2051 | 33 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 22 | 11 | 11 | 1924-1850 | 33 |
| ვეფ (რიგა) | 22 | 11 | 11 | 1912-1987 | 33 |
| „სპარტაკი" (ლენინგ.) | 22 | 10 | 12 | 1725-1729 | 32 |
| „სტატიბა" (ვილნიუსი) | 22 | 7 | 15 | 1864-1934 | 29 |
| „კალევი" (ტალინი) | 22 | 5 | 17 | 1690-1822 | 27 |
| ასკ (კიევი) | 22 | 5 | 17 | 1774-1937 | 27 |

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

# ალმა-ათასა და ხარკოვში



**გუშინ ალმა-ათასა და ხარკოვში დაიწყო წყალბურთელთა 44-ე საკავშირო ჩემპიონატი.**

ალმა-ათაში ასპარეზობენ: „დინამო" (ალმა-ათა), ცსკ ვმფ, კკფ (ბაქო), „დინამო" (კიევი), კჩფ (სევასტოპოლი) და ასკ (მინსკი); ხარკოვში კი გამოვლენ: „დინამო" (მოსკოვი), უნივერსიტეტი (მოსკოვი), „დინამო" (ლვოვი), „დინამო" (თბილისი), „მოსკვიჩი" და „ლოკომოტივი" (ხარკოვი).

წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით წლევანდელი ტურნირი ახლებური სისტემით ჩატარდება. 12 უძლიერესი კლუბი ორწრიან შეჯიბრებას ხუთ ტურად ჩაატარებს. მეორე ტურის შეხვედრები ლვოვსა და ბაქოში გაიმართება, მესამე — კიევსა და მინსკში, მეოთხე — თბილისსა და ძერჟინსკში, მეხუთე დასკვნითი — მოსკოვში, თანაც უჩვეულოდ ადრე, ივნისის შუა რიცხვებში. ამის შემდეგ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი წყალბურთელები ოლიმპიურ სამზადისს დაიწყებენ.

განზრახულია რამდენიმე საკონტროლო მატჩის გამართვა ნაკრები გუნდის მონაწილეობით, კერძოდ უნგრეთის გუნდთან (მარტში), საერთაშორისო ტურნირში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე (აპრილში), სევილიისა (ესპანეთი) და პესკაროს (იტალია) ტურნირებში მონაწილეობა (ივლისი— აგვისტო) და ა. შ.

საბჭოთა კავშირის წყალბურთის ფედერაციამ დაამტკიცა 21 უძლიერესი სპორტსმენის სია, რომელშიც მოხვდა თბილისის „დინამოს" მეკარე მიხეილ გიორგაძე.

# ჯ. ნერუს მემორიალი

ინდოეთის ქალაქ სილიგიერიში დაიწყო ჯავაჰარლალ ნერუს ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო მემორიალი.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები პირველ მატჩში ბულგარეთის გუნდს შეხვდა და ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა. გოლი მე-5 წუთზე გაიტანა ბარანაუსკასმა.

ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

# ასე რომ არა...

**ისლა** დარჩენიათ ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელებს, ფეხბურთელებსაც, რომ სათაურში გამოტანილი ამ სიტყვებით იმართლონ თავი.

მაინც რა იგულისხმება ამ დაუმთავრებელ და მრავალწერტილით დასრულებულ ფრაზაში? ძალზე ბევრი რამ, ის, რასაც თავის დროზე ყურადღებას არ აქცევდნენ ისინი, ვისი უშუალო მოვალეობაც სწორედ გუნდის წარმატება იყო.

• • •

შვიდი თვე მიმდინარეობდა საკავშირო გათამაშება პირველი ლიგის გუნდებს შორის. ბათუმის დინამოელებმა ერთობ უფერულად განვლეს ეს საფეხბურთო მარათონი და მოკრძალებული მე-19 ადგილი დაიკავეს. ამ დროის მანძილზე გუნდის ქომაგები იმედს არ კარგავდნენ, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ. გუნდი ლიგის დატოვების საფრთხის წინაშეც კი აღმოჩნდა, ამიტომაც გულშემატკივრები სამართლიან საყვედურს გამოთქვამდნენ დინამოელთა უგერგილო თამაშის გამო.

ცოტა რამ განვლილი პირველობის არითმეტიკაზე. 42 კალენდარულ მატჩში ბათუმელმა ფეხბურთელებმა 12 მოიგეს (ყველა საკუთარ მინდორზე!), 11 ფრედ დაამთავრეს და 19 წააგეს, მეტოქეთა კარში გაიტანეს 38 ბურთი, საკუთარში მიიღეს 45, 35 ქულა დააგროვეს და მხოლოდ ერთი ქულით გაუსწრეს უახლოეს მეტოქეს, რომელმაც პირველიდან მეორე ლიგაში გადაინაცვლა.

ისიც უნდა ითქვას, რომ შარშანდელი პირველობის წინ გუნდი თითქოს საბრძოლო ფორმაში, წინსვლისთვის განწყობილი და მომზადებული ჩანდა. მთავარმა მწვრთნელმა ვ. ჩხარტიშვილმა ოპტიმისტურად განაცხადა, პირველ ხუთეულში მაინც უნდა დავიმკვიდროთ ადგილიო...

გათამაშების პირველმა მატჩმა საკუთარ მინდორზე ოდესის „ჩერნომორეცთან" (0:2) ბათუმის „დინამოს" ქომაგთა ოპტიმისტური განწყობილება ვერ გაანელა. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, ამბობდნენ ისინი, მერე რა, რომ პირველ მატჩში არ გაგვიმართლდაო. მოსახდენი მართლაც მოხდა, სამწუხაროდ, — საპირისპირო.

ხომ არ არის გუნდის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების (მათი გულშემატკივრებისაც) ზედმეტი გულდაჯერებულობა, მეტოქეთა არაობიექტური შეფასება, საკუთარი ხარვეზების დაუნახაობა? ახლა, როცა, საბოლოო შედეგი ცნობილია, როცა ლოგიკური ანალიზი გაკეთდა, დაბეჯითებით ითქმის: დიახ, არის!

ჯერჯერობით ზუსტად ვერ დავადგენთ, როდის შეეპარა კოლექტივის ცხოვრებას ობი, მაგრამ დასამალი არავისთვისაა, რომ მთელი რიგი ფეხბურთელები ხშირად არღვევდნენ სპორტულ რეჟიმს და დისციპლინას, მაგრამ ხელმძღვანელობა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და ლმობიერებას იჩენდა ასეთი ფეხბურთელების მიმართ.

— არ მინდოდა მკაცრად დამესაჯა ისინი, მჯეროდა კიდეც, თავად შეიგნებენ, რომ სწორად არ იქცევიან, — იტყვის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ მთავარი მწვრთნელი. და, აი, ასეთმა ლიბერალობამ, მისმა კანონზომიერმა შედეგმა ძალზე ცუდ დროს იჩინა თავი, სწორედ მაშინ, როცა გუნდს ყველაზე მეტად უჭირდა, როცა თითოეულ ქულას, რომ იტყვიან, ოქროს ფასი ჰქონდა.

„მოვიშოროთ მთავარი მწვრთნელი, პირი შევკრათ, ბიჭებო"! — თქვა ზოგიერთმა ფეხბურთელმა, მათ თანამოაზრეებიც გამოუჩნდნენ, ისინი შვიდნი იყვნენ. „ოპოზიციონერებმა" ისიც კი განაცხადეს, თუ ვ. ჩხარტიშვილი გუნდს წამოჰყვება ოდესასა და ლვოვში (ჩემპიონატის ორ უკანასკნელ მატჩში (!), საერთოდ არ ვითამაშებთო. ეს სიტყვები კი სწორედ მათ ეკუთვნით, ვის მიმართაც მთავარი მწვრთნელი ლიბერალობას იჩენდა, ლმობიერად ექცეოდა და თავზე ხელს უსვამდა.

მწვრთნელის პოზიცია შეუვალი, გამიზნული და დამაჯერებელი უნდა იყოს, ამას კი ვერ ვიტყვით ვ. ჩხარტიშვილზე. მაგრამ განა ამის გამო გუნდის წევრებმა თავს უფლება უნდა მისცენ გადაწყვიტონ მისი კოლექტივში ყოფნა-არყოფნის საკითხი? ისიც მაშინ, როცა ჩემპიონატის დასასრულამდე ორადორი შეხვედრაა დარჩენილი და მათ შედეგზეა დამოკიდებული ლიგაში დარჩენა. ამ შემთხვევაშიც ვერ გამოიჩინა მწვრთნელმა სიმტკიცე, აქაო და გუნდის ინტერესების გამო, არ გაჰყვა გუნდს, დათმობაზე წავიდა. მერე და რა ქნეს „პრეტენზიულმა" ფეხბურთელებმა, რით გამოიჩინეს თავი? ორივე შეხვედრა დათმეს, თუმცა „მდევართა" გახშირებული სუნთქვა ზურგს უკან, ძალზე ახლო მანძილიდან ესმოდათ.

მარტო მწვრთნელთა ლიბერალობის კი არა, სუსტად დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობის შედეგიცაა 1987 წლის სეზონში გუნდის ეგზომ სუსტად გამოსვლა. გუნდის უფროსი ა. კვაჭაძე, კომკავშირული ორგანიზაციაც (მდივანი ა. გოგიტიძე) ვერ ეწეოდნენ სათანადო მუშაობას ფეხბურთელებთან, უკონტროლობა და ერთმანეთის მაიმედებლობა მანკიერებად იქცა კოლექტივში.

გ. ზედანია, ლ. ბარათაშვილი, ა. ანდღულაძე, თ. კიკლიაშვილი — სწორედ ამ ოთხ ფეხბურთელს ეკუთვნის ლოზუნგი: მოვიცილოთ მთავარი მწვრთნელი! სწორედ ეს ოთხეული ქმნიდა ნეგატიურ კლიმატს კოლექტივში და საამისოდ სხვებსაც აქეზებდა.

მაინც რას უჩიოდნენ ისინი მთავარ მწვრთნელს?

რასაც შეგვპირდნენ, არ გვაძლევენ, სათადარიგო სკამზეც გვსვამსო... ეტყობა, ამ ფეხბურთელებს კომერციული მიზნები უფრო ამოძრავებდათ, ვიდრე მთავარი — სპორტული ჟინი. გუნდის კაპიტანი სხვათათვის სანიმუშო, კოლექტივის წარმმართველი და ორგანიზატორი უნდა იყოს, ბათუმელ გულშემატკივრებს ბევრჯერ უნახავთ გია ზედანიას საუკეთესო თამაში, მაგრამ ისიც ხომ ახსოვთ, რა უსაფუძვლოდ და უსასრულოდ ეკამათებოდა იგი მსაჯებს, რომ სწორედ გუნდის კაპიტანი გია ზედანია იყო მთავარი მწვრთნელის გუნდიდან მოშორების ერთ-ერთი აქტიური მოთავე.

ბარათაშვილსა და კიკლიაშვილს ოსტატობა არ აკლიათ, მაგრამ სწორედ ამ აღიარებულმა ფეხბურთელებმა შესცოდეს მაშინ, როცა გუნდი თუნდაც ერთი ქულის მოსაპოვებლად ძალებს არ უნდა იშურებდეს. უკანასკნელი მატჩის წინ ლვოვში გამგზავრებამდე, ბახუსს ემსხვერპლნენ. ეს ღალატია! ღალატი და უპატივცემლობა თანაგუნდელებისა და ქომაგების წინაშე.

უდავო დამსახურება მიუძღვის ბათუმის „დინამოს" წინაშე ამირან ანდღულაძეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მადლს რომ მარილის მოყრაც უნდა, ეს კი დაავიწყდა ამ გამოცდილ ფეხბურთელს. უკმაყოფილო იყო იმით, რომ მთავარი მწვრთნელი ბოლო ხანებში მას ძირითად შემადგენლობაში, უფრო სწორედ, სასტარტო შემადგენლობაში არ ათამაშებდა. ამის გამო გუნდიდან წასვლაც უნდოდა, მაგრამ მწვრთნელმა იგი გუნდისთვის საჭიროდ მიიჩნია. საქმე ის არის, რომ ანდღულაძეს ტრავმა აწუხებდა, რის გამოც კარგა ხანს ვერ ავლენდა თავის შესაძლებლობებს, ამასთან მისი ავადმყოფობის პერიოდში ცენტრალური მცველის ფუნქციებს წარმატებით ასრულებდა გ. ჩიქოვანი.

განა მწვრთნელს არა აქვს უფლება საკუთრივ განსაზღვროს გუნდის შემადგენლობა? ვფიქრობ, ამის გამო კონფლიქტი და პირადი ინტერესების წინ დაყენება გაუმართლებელია, რაც დინამოელთა შარშანდელმა შედეგმაც ნათლად ცხადყო.

გუნდის წარუმატებლობის ერთ-ერთი ფაქტორი სასწავლო-საწვრთნელი ბაზის უქონლობაცაა. მოდით მართალი ვთქვათ: ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელებს ამ მხრივ არა აქვთ საჭირო პირობები. სოფელ ჩაისუბანში არსებული ბაზა ვერა და ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებსაც კი. ერთადერთი ვარგისი ბაზა „დინამოს" სტადიონია, მაგრამ მუდმივი ვარჯიშით ზიანდება მწვანე საფარი, ალაგ-ალაგ ორმოები ჩნდება და საასპარეზოდ უვარგისი ხდება. წლების მანძილზე დგას ეს პრობლემა დღის წესრიგში, მაგრამ მისი მოგვარება ჯერ არ მოხერხდა. მოსამზადებელ პერიოდში ფეხბურთელები ხან წიდის საფარველზე ვარჯიშობენ, ხანაც ასფალტზე, არც ნორმალური გასახდელები და შხაპი აქვთ, საექიმო ოთახიც არ არის და არც აღდგენითი ცენტრი.

ცნობილია, რომ ბათუმის „დინამოს" ერთობ მოკლე სათადარიგო სკამი აქვს. ეს მაშინ, როცა აჭარაში ბავშვთა და მოზარდთა 61 ჯგუფი მუშაობს. თითქოს, არ არის ცოტა. მაშასადამე, ცვლაც საიმედო უნდა მომზადდეს.

— ცვლა მოდის, — თქვა „დინამოს" ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სკოლის დირექტორმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ლ. ვერულიძემ, — მაგრამ იგი უხარისხოა. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო-საწვრთნელი ბაზების უქონლობა და კვალიფიციური მწვრთნელების უკმარისობაა. უკვე რამდენი ხანია შენდება ჩვენი სკოლის კომპლექსი ქალაქგარეთ, სადაც სამი მინდორია გათვალისწინებული. მშენებლობა, რომელსაც საქსპორტმშენის ქუთაისის მეორე უბანი აწარმოებს, გაჭიანურდა. მიზეზი? სამშენებლო მასალების უკმარისობა. გასაკვირი უფრო ის არის, რომ ვერ მოხერხდა გამოყოფილი ფონდირებული მასალების მიღება.

— არც ჩვენი სტადიონია ვარგისიანი, — ამბობს აჭარის განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის სკოლის დირექტორი გ. ქიქავა, — აქ, უბრალოდ, შეუძლებელია მომავალი ფეხბურთელი დაოსტატდეს.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ სპეციალისტების აზრს, რომ ბაზების მხრივ ავტონომიურ რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, თორემ ბათუმის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდიც მიიღებდა სრულფასოვან შევსებას, სათადარიგოთა მოკლე სკამის პრობლემაც გადაწყდებოდა.

წარუმატებლობის მიზეზი სხვაც ბევრია. მხოლოდ ძირითადსა და არსებითზე გავამახვილეთ ყურადღება, რომელთაგან უმთავრესია კოლექტივში არაჯანსაღი ატმოსფერო, ამ ვირუსს კი ასე ღრმად გაუდგამს ფესვები გუნდში. თუ გვინდა, რომ ხვალ ერთი მთლიანი, მებრძოლი და შედუღაბებული გუნდი ვყავდეს, რომელიც მაღალი ადგილისთვის იბრძოლებს, სასწრაფოდ უნდა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, სალი ანალიზი გავუკეთოთ შექმნილ მდგომარეობას.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში გაიმართა აჭარის ფეხბურთის ფედერაციის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა ბათუმის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის შედეგები და კოლექტივის ამოცანები 1988 წლის სპორტული სეზონისთვის მზადებაში.

აღინიშნა მწვრთნელბისა და გუნდის უფროსის სუსტი მუშაობა, ზოგიერთი ფეხბურთელის უმსგავსო საქციელი. ფედერაციის პრეზიდიუმმა ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის გამოსვლა 1987 წლის სეზონში არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია, დისციპლინარულ სანქციებსაც მიმართა. ბათუმის „დინამოს" კოლექტივის წინაშე ახალი სეზონის წარმატებით ჩატარების ამოცანები დასახა.

**ლევან ჭავჭანაძე,**
**„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.**

ბათუმი.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მონაწილენი

# ნანა იოსელიანი

დასასრული

სო ტურნირის დროს — მსოფლიოს რამდენიმე ცნობილ დიდოსტატთან პაექრობაში საჭირო იყო პირველ სამეულში მოხვედრა, რასაც, ცხადია, ბევრი უმიზნებდა. ნანას ყველაფერი იოლად გამოსდიოდა, 12 შეხვედრა მოიგო ზედიზედ! საბოლოო შედეგი — 13 მოგება და 3 ყაიმი — იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ ცნობილმა იუგოსლაველმა დიდოსტატმა ბორისლავ ივკოვმა (იგი მეზობელ დარბაზში, ვაჟთა საზონათშორისო ტურნირში თამაშობდა და ქალების ორთაბრძოლებსაც ადევნებდა თვალს) განაცხადა: ნანა იოსელიანი მსოფლიო ჩემპიონად დაიბადა. მსოფლიო ჩემპიონატის იმ ციკლში ნანამ მეტად დიდ წარმატებას მიაღწია: დასძლია პრეტენდენტთა ასპარეზობის ორი საფეხური და ფინალში გავიდა, სადაც ნანა ალექსანდრიასთან დამარცხდა. როცა 1981 წლისთვის მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე ქალების რანგ-ლისტი (ძალთა შედარებითი ნუსხა) გამოქვეყნდა, ნანა მასში III ადგილზე იყო. ასე დამთავრდა ახალგაზრდა მოჭადრაკის სპორტული კარიერის ერთი, თითქმის პირველი პერიოდი.

მომდევნო წლებში ნანა იოსელიანი ცვალებადი წარმატებით თამაშობდა. ჩვენს მიზანს არ შეადგენს მისი ყველა სპორტული შედეგის აღნუსხვა, მაგრამ გვინდა ყურადღება შარშანდელ გამოსვლებზე შევაჩეროთ. ეჭვგარეშეა, ერთგვარი „ჩავარდნის" შემდეგ იოსელიანს ახალი შემოქმედებითი და სპორტული აღმავლობა დაეწყო. თუ გნებავთ, ერთმანეთს 1979 და 1987 წლების საზონათშორისო ტურნირების ცხრილები შევადაროთ. პირველზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. შარშან ტუზლაში (იუგოსლავია) ნანამ მოიგო 9 პარტია და 8 ყაიმით დაამთავრა. ისევე, როგორც 8 წლის წინათ, რიო-დე-ჟანეიროში, I ადგილი იოლად დაიკავა. ისტორია ზოგჯერ მეორდება ხოლმე!

შემოდგომაზე ნანა იოსელიანმა თბილისში დიდებულად ითამაშა საბჭოთა კავშირის ქალთა ჩემპიონატში. ტურნირის მეტად ძლიერი შემადგენლობის მიუხედავად, იოსელიანს, როგორც საკმაოდ მალე ვამოირკვა, არა ჰყოლია სერიოზული კონკურენტი I ადგილისთვის ბრძოლაში. მან მეოთხედ მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი და ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი.

ჩვენ აქამდე მხოლოდ ნანას სპორტულ შედეგებზე ვლაპარაკობდით. რა თქმა უნდა, მარტო ეს წარმატებები არ გახლავთ გამოჩენილი ქართველი დიდოსტატის დიდი პოპულარობის მიზეზი. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იოსელიანის თამაშის სტილს, მის მეტად შინაარსიან პარტიებს. ნანა, მთავარი სვეატოსლავისა არ იყოს, თითქოს პირველივე სვლებიდან ეუბნება მეტოქეს „მოვდივარ თქვენს წინააღმდეგ!" იგი მეტად ენერგიულად და, ამავე დროს, ეკონომიურად თამაშობს, თანაბრად ემარჯვება როგორც პოზიციური ბრძოლა, ისე კომბინაციური შეხლა-შემოხლა. კარგად იცის სადებიუტო თეორია, აქვს მაღალი ტექნიკა. ის, რომ ნანა პარტიის მსვლელობის დროს უკანდასახევ „ხიდს სწვავს", შეიძლება სპორტული თვალსაზრისით ყოველთვის არ იყოს გამართლებული, მაგრამ გულშემატკივრების დიდ სიმპათიას იმსახურებს. დიახ, დიახ — პრინციპი „კეისარი, ან არაფერი!", უკომპრომისობა, სიმამაცე, შეუპოვრობა, ელეგანტურობა, რაც ასე მრავლად არის ნანას პარტიებში, ის თვისებებია, რომლებიც მისი ქომაგების რიცხვს ზრდის.

მიმდინარე წლის 1 იანვრისთვის ნანა იოსელიანის რეიტინგია 2455 (მეოთხე შედეგი მსოფლიო ქალთა იერარქიაში). საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ იგი პრეტენდენტთა ტურნირისთვის ემზადებოდა. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნანას, რომელსაც პრეტენდენტთა მატჩების საკმაო გამოცდილება აქვს, ამ ახალი ფორმულით არ უთამაშია — 1986 წელს იგი მალმეში არ ასპარეზობდა.

რომელი ადგილისთვის იბრძოლებს ნანა იოსელიანი წყალტუბოში? ამაზე პასუხს ისევ „კეისარი ან არაფერი!" გვაძლევს.

# ერთპიროვნული ლიდერი

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ჭადრაკში საქართველოს პირველობის ფინალური ტურნირი.

13 ტურის შემდეგ 11 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს ჭადრაკის სასახლის გასული წლის ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ელექსი ლაზარაშვილი. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან ოსტატობის კანდიდატები იური ნეჩაევი — 9 (1), ირაკლი ლვამიჩავა — 9, მერაბ თხელიძე — 8,5 (2), არტურ თეიმურაზიანი, დემურ სირბილაძე — 8-8, ვასილ ვაშაკიძე — 7.

ჩელენჯერი - მაითხელი

ინსბრუკი. ინვალიდთა პირველი ზამთრის მსოფლიო თამაშები 1976 წელს შვეციაში ჩატარდა. წლეულს რიგით მეოთხე თამაშებს ავსტრიის ქალაქი ინსბრუკი მასპინძლობს. შეჯიბრების პროგრამაშია ბიატლონი, სამთო სპორტი, სამთო-სათხილამურო სახეობები, სათხილამურო რბენა, ციგურაობა და ჰოკეი, ამ შეჯიბრებაში წლეულს პირველად საბჭოთა სპორტსმენებიც გამოვლენ (სულ რვა მონაწილე). ისინი იასპარეზებენ სათხილამურო რბენის დისტანციებზე.

მელბურნი. ავსტრალიის ჩოგბურთელთა ღია პირველობაში წარმატებით გამოდის მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი. მორიგ წრეში მან დაამარცხა გფრ-ის წარმომადგენელი კარლ-უვე შტეები 6:1, 6:4, 6:2 და რვა უძლიერესთა შორის გავიდა. მისი მეტოქე მეოთხედფინალში იქნება მსოფლიოს მეორე ჩოგანი შვედი სტეფან ედბერგი.

ეკრანზე...

ცენტრალური ტელევიზია. 20 იანვარი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (გადმოცემა ბაქოდან) — 21.15 (2).

„სპორტპროგნოზი"

მესამე ტირაჟის შედეგები (16-17 იანვარი)

1-2, 2-X, 3-1, 4-2, 5-1, 6-1, 7-1, 8-2, 9-2, 10-X, 11-2, 12-2, 13-2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მონაწილენი

# 161 ქვეყნის თანხმობა

ჟენევა. როგორც ცნობილია, სეულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება ამა წლის 17 იანვარს შეწყდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამდივნოს განცხადებით 1988 წლის თამაშებში 161 ქვეყნის სპორტული დელეგაცია გამოვა.

ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ განაცხადების მიღება ხელსაყრელი პოლიტიკური კლიმატის პირობებში ხდებოდა და ამ კომპანიის წარმატება მნიშვნელოვანწილად ამ ფაქტმა განაპირობა. პრეზიდენტის აზრით საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებაში უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურთა ამასწინანდელმა შეხვედრამ.

სამარანჩმა, ამავე დროს აღნიშნა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისთვის კვლავაც „ღიად ტოვებს კარს" და უნარჩუნებს მას უფლებას მიიღოს კომპრომისული წინადადება ამ ქვეყანაში ოლიმპიურ შეჯიბრებათა ერთი ნაწილის (ქალთა ფრენბურთი, მშვილდოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, საგზატკეცილო ველორბოლა და ფეხბურთელთა წინასწარი ტურნირის რამდენიმე მატჩი) ჩატარების თაობაზე.

პრესკონფერენციის მონაწილეებს გააცნეს ნიკარაგუას ოლიმპიური კომიტეტის წერილი, რომელშიც ეს უკანასკნელი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ომით გამოწვეული ეკონომიკური პირობები" უფლებას არ აძლევს მონაწილეობა მიიღოს თამაშებში.

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს არ მიუღია პასუხი ალბანეთისაგან, ეთიოპიისაგან და სეიშელის კუნძულებისგან, მაგრამ თუკი ეს ქვეყნები მომავალში თანხმობას განაცხადებენ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამ წინადადებასაც განიხილავს და არ არის გამორიცხული, რომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღოს.

დასასრულს სამარანჩმა აღნიშნა, რომ თამაშებზე ჩასული სპორტსმენები, ოფიციალური პირები, ჟურნალისტები შიდსის ვირუსზე შემოწმებას არ გაივლიან.





# პატარა ჩოგნის ჩემპიონები

ამას წინათ საქართველოს დოსაფის ცენტრალური კომიტეტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საქართველოს ღია პირადი პირველობა მაგიდის ჩოგბურთში 1974 წელს დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. ჭაბუკებში პირველი ადგილი ა. ფამინოვმა დაიკავა, მეორე იყო ს. როსტიაშვილი (ორივე — თბილისი), ხოლო მესამე — კრასნოდარელი ვ. დეინეგა. გოგონებში პირველი სამეული ასე განაწილდა: ქ. ნარგეიშვილი, ე. ნიკოლაიშვილი (ორივე — თბილისი) და ა. ლუკინა (კრასნოდარი).

კრივის ისტორიიდან

# შიშველი მუშტი თუ კრივის ხელთათმანი?!

რინგის ყოველ ტრფიალს უთუოდ აღეძვრება კითხვა: რომელი უფრო ძლიერი იარაღია თოკებით მოღობილ სარბიელზე — შიშველი მუშტი თუ კრივის ხელთათმანი? ამას თავისთავად მოჰყვება მეორე კითხვაც: როდის იყო უმეტესი მოკრივის სპორტული სიცოცხლის ხანგრძლივობა, შიშველი მუშტით ბრძოლის თუ ხელთათმანებით ბრძოლის ხანაში?

ამ ორივე კითხვაზე იგი მიიღებს ერთგვარად მოულოდნელ პასუხს. კრივის მენცარნი ამ მხრივ იზიარებენ ერთიან საზრისს. კრივის ცნობილმა სპეციალისტმა, ამ დარგში დოქტორის პატივით მოსილმა, კონსტანტინე ნეპომნიაშჩიმ, შეაჯერა ეს მოსაზრებანი და ასეთი სახით ჩამოქნა:

მუშტი საკმაოდ მყიფე იარაღია. იგი შედგება მაჯის, მტევნებისა და თითების საკმაოდ წვრილი და საკმაოდ იოლად მსხვრევადი ძვლებისაგან, ამასთან სიმტკიცით არც თითების სახსრებია გამორჩეული.

სახისა და განსაკუთრებით კი თავის ძვლები ძალზე მკვრივი და მკვიდრია. ამ ძვლებისაგან შეკრულსა და ჩაკირულ კედელს შეჯახებისას მუშტი ვერარას აკლებს, ხშირად თავად შეელეწება ხოლმე ზედ. შიშველი მუშტით ბრძოლის ხანაში სწორედ ამიტომაც ძალზე ფრთხილობდნენ შეტევისას და დარტყმებიც, ასე გასინჯეთ, ნაკლებ საზიანო იყო, მიუხედავად იმისა, რომ რინგზე იმ დროს სისხლის წვიმები დიოდა, რადგან შიშველი მუშტი გლეჯდა და ხეთქავდა კანს.

ხელთათმანებით ბრძოლის ხანაში სამაგიეროდ გაიზარდა დარტყმების ძალა (მუშტი დაბინტულია, ძვლები მჭიდროდ არის ერთმანეთს მიბჯენილი და მათი დამსხვრევის საშიშროებაც ნაკლებია), რაც ორგანიზმს მეტად ცვეთს.

შიშველი მუშტით ბრძოლის ჟამინდელი მოკრივის სპორტული დღეგრძელობის ერთი მიზეზი სწორედ ეს გახლავთ. ამას აპირობებდა ის ვითარებაც, რომ კრივში ამჟამად დანერგილი ბრძოლის ხერხების მთელ რიგ შეზღუდვათა გამო, მოკრივე ცდილობს გააძვრინოს გამარჯვების მომტანი დარტყმა და მოახვედროს იგი ისეთ მოწყვლად წერტილებში, რომლებიც მაშინ ნაკლებ ცნობილი გახლდათ. ამ მიზეზით ბრძოლები ჭიანურდებოდა, რაც ქანცს აცლიდა და ფიტავდა მოკრივეებს.

და კიდევ, თანამედროვე კრივი, განსხვავებით ძველჟამინდელ უხეშ და პრიმიტიულ გადაადგილებაზე დაფუძნებული კრივისაგან, აგებულია სხარტ მიმოძრაობაზე. ახლანდელი მოკრივისათვის ტრაგედია როდი გახლავთ ის ფიზიოლოგიური კანონი, რომლის გამოც ადამიანს სისწრაფე აკლდება მაშინ, როცა მისი ძალა ჯერ კიდევ აღმატებისა და აღზევების პროცესშია. ძველჟამინდელი მოკრივენი სწორედ ამიტომაც გამოდიოდნენ რინგზე გაცილებით მეტ ხანს, ვიდრე თანამედროვენი, რამეთუ ისინი არ საჭიროებდნენ ძალზე სწრაფი მოძრაობის უნარს.

მაგალითები იმისა თუ რაოდენ დიდხანს შერჩებოდნენ ხოლმე რინგს შიშველი მუშტით ბრძოლის ხანის მოკრივენი, ბევრზე ბევრია. საკმარია დავასახელოთ ჯორჯ ტეილორი, რომელიც მე-18 საუკუნის მთელი ერთი მესამედი რინგზე მოქმედი გლადიატორი იყო, ამდენ ხანს კი ხელთათმანებით ბრძოლის დროინდელ არც ერთ მოკრივეს არ გაუძლია რინგზე...

ედიშერ ბიორბაძე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

დღეს და ყოველდღე კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრებამდე თბილისის სპორტის სასახლეში გათამაშდება ავტომანქანა „ჟიგული" და 10-10 ბურთი. თუ სპორტის სასახლის ტევადობას გავითვალისწინებთ, მაყურებელს ლატარიაში წარმატების აშკარად დიდი შესაძლებლობა ეძლევა.

ლატარიის ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ სპორტის სასახლის სალაროებში შესასვლელ ბილეთთან ერთად.

სპორტის სასახლის ფოიეში მოეწყობა აგრეთვე სპორტული ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

სპორტის სასახლის დირექცია.

29 იანვარს, ხელოვნების მუშაკთა სახლის საქტო დარბაზში (მახარაძის ქ. № 8) ჩატარდება პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი კონფერენცია.

დასაწყისი 14 საათზე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05140